საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/172 „ 16 " აპრილი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში" შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. მოსამართლის მიერ არანაკლებ 7 დღით შვებულებით ან სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობისას, ასევე, წინასწარ ცნობილი დროებითი შრომისუუნარობის გამო მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მასზე არ ნაწილდება საქმეები (გარდა მორიგეობის დროს შემოსული საქმეებისა) სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით ადრე - რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში, 5 სამუშაო დღით ადრე - სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.

14. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების (შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება) პერიოდში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატება 72 საათს. ამ შემთხვევაში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით ადრე. მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს განსაკუთრებული ობიექტური გარემოება და საქმეების განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 17 აპრილიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი